

# ტვინების ბრძოლა

## საქალაქო ჩემპიონატი | 24 ნოემბერი 2024

### U8 (VI, VII, VIII კლასები)

#### 1. 5-ქულიანი შეკითხვა

ერთი 69 წლის ქალბატონი არასდროს დანებებულა, რის გამოც იგი ისეთი ცნობილი გახდა, რომ კომპანია ჰიუნდაიმ საჩუქარიც გაუკეთა. საქმე ისაა, რომ ქალბატონმა 900-ზე მეტჯერ სცადა იქსის აღება. დანერეთ იქსი ერთსა და იმავე ასოზე დანყებულ იქნა სიტყვით.

#### პასუხი: მართვის მონობა

კომენტარი: შეუპოვარმა ქალბატონმა მართვის მონობა 900-ზე მეტი ცდის შემდეგ აიღო, რის გამოც მანქანამანამოებელმა კომპანია ჰიუნდაიმ მას მანქანა აჩუქა.

#### 2. 6-ქულიანი შეკითხვა

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ კორეაში იქსის შედეგი ფაქტობრივად წინასწარ არის ხოლმე ცნობილი, აქტივობა მაინც თითქმის 100%-იანია. მსოფლიოს ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში იქსი საშუალოდ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. დაასახელეთ იქსი ერთი ან ორი სიტყვით.

#### პასუხი: არჩევნები

#### ჩათვლა: საპარლამენტო არჩევნები, აზრობრივად სწორი პასუხები

კომენტარი: ჩრდილოეთ კორეას უკვე ათწლეულებია ერთი საგვარეულო მართავს, შესაბამისად არჩევნები მხოლოდ ცერემონიულ დანიშნულებას ატარებს, თუმცა მასში მონაწილეობას თითქმის ყველა მოქალაქე იღებს. როგორც წესი, არჩევნები ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება ხოლმე.

#### 3. 7-ქულიანი შეკითხვა

ერთ წიგნში სუპერმოლეკულურ ქიმიკატზე საუბრისას ნახსენებია, რომ დიდ როლს ასრულებენ ბმები, რომლებიც პატარა თოკებით იჭერენ უზარმაზარ პროცესს. წიგნს თან დართული აქვს გულის ილუსტრაცია. წინა წინადადების ერთ სიტყვაში ჩვენ გამოვტოვეთ ოთხი ასო. აღადგინეთ სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

#### პასუხი: გულივერის

კომენტარი: წიგნში პარალელური გავლებული "გულივერის მოგზაურობის" სცენასთან, სადაც გულივერს გათოკავენ. წიგნში თანდართულ ილუსტრაციაზე კი გამოსახულია არა გული, არამედ გულივერი.

#### 4. 5-ქულიანი შეკითხვა

პინგვინები, რომლებსაც ხშირი ჰაერის ჩასუნთქვა და გარემოს დათვალეობა სჭირდებათ, ცურვის სტილით ემსგავსებიან იქსებს. გიორგი კირვალიძე, რომელიც იქსების მომთვინიერებელია ბათუმში, ამბობს, რომ იქსები ჭკვიანები არიან და მარტივად იმასხოვრებენ მოძრაობებს. დაასახელეთ იქსი შვიდასოიანი სიტყვით.

#### პასუხი: დელფინი

კომენტარი: პინგვინებს ჰაერის ჩასუნთქვისთვის ცურვისას ხშირად უწევთ წყლიდან ამოხტომა, რითაც დელფინებს ემსგავსებიან. ბათუმში მდებარეობს “დელფინარიუმი”.

#### 5. 6-ქულიანი შეკითხვა

ერთი სერიალის **გართობის** მოყვარული პერსონაჟები **იაპონიაში** ჩასვლისას სტუმრობენ **ბარს**, სადაც არის **იქსი**. ყველაზე პოპულარული **სიმღერა**, რომელსაც იქსისთვის უკვებთავენ, არის **მაიკლ ჯექსონის “ბილი ჯინი”**, რადგან **მარტივი ტექსტი** აქვს. დაასახელეთ იქსი **უცხოური** სიტყვით.

#### პასუხი: კარაოკე

კომენტარი: კარაოკე იაპონური გამოგონებაა და ამ ქვეყანაში ძალიან პოპულარულია კარაოკე ბარები. კარაოკესთვის ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელი სიმღერაა მაიკლ ჯექსონის “ბილი ჯინი”, რადგან მარტივია, მის ტექსტს ავყვით.

#### 6. 7-ქულიანი შეკითხვა

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ რამდენიმე ასეული მილიონი წლის წინ, დედამიწის მახლობლად დიდი **ასტეროიდი დაიშალა** და შედეგად, იმ პერიოდის **დედამიწა** ჰგავდა **იქსს**. იქსი იმდენად **დიდია**, რომ მას **146 მთვარე** აქვს. დაასახელეთ იქსი ერთი სიტყვით.

#### პასუხი: სატურნი

კომენტარი: ასტეროიდი დაიშალა და დედამიწას გარშემო რგოლად შემოერტყა, რითაც დედამიწა დაემსგავსა რგოლების მქონე პლანეტა სატურნს. სატურნი მზის სისტემაში მზიდან მეექვსე პლანეტაა, რომელსაც დიდი ზომის გამო მრავალი თანამგზავრი ჰყავს.

#### 7. 5-ქულიანი შეკითხვა

აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში **წყალი** განსაკუთრებით **ძვირფას რესურსად** მიიჩნევა. ერთი ბრიტანელი ჟურნალისტი წერდა, რომ იცნობდა **აფრიკელ ცოლ-ქმარს**, რომელთა **იქსები წყლის ბოთლის თავსახურისგან** იყო გაკეთებული. იქსი უმეტესად **ოქროსა** და **ვერცხლისგან** მზადდება ხოლმე. დაასახელეთ იქსი **ერთი** ან **ორი** სიტყვით.

#### პასუხი: საქორწინო ბეჭედი

#### ჩათვლა: ბეჭედი, ნიშნობის ბეჭედი

კომენტარი: ძვირფას რესურსთან ასოცირებული საგნისგან აფრიკელმა წყვილმა საქორწინო ბეჭედები დაიმზადა.

#### 8. 6-ქულიანი შეკითხვა

მოსმინეთ **მერვე** შეკითხვა. ერთ სამეცნიერო სტატიაში ნაგარაუდებია, რომ თუ დედამიწიდან **ადამიანებს გავაქრობთ**, ყველაზე **დომინანტი** სახეობა, არა რომელიმე **ხმელეთის** ბინადარი, არამედ **იქსი გახდება**, თავისი **ინტელექტისა** და **ფიზიკური შესაძლებლობების** გამო. იქსებს **არამხოლოდ კიდურები**, არამედ **გულიც ჩვენზე მეტი** აქვთ. დაწერეთ იქსი ერთი **შვიდასოიანი** სიტყვით.

#### პასუხი: რვაფეხა

კომენტარი: რვაფეხები ძალიან ჭკვიანი არსებები არიან და კარგად შეუძლიათ პრობლემების გადაჭრა. გარდა იმისა, რომ მათ 8 კიდეა აქვთ, რვაფეხებს სამი გულიც გააჩნიათ. კითხვის ნომერი დამატებითი მინიშნება იყო რვაფეხაზე.

### 9. 7-ქულიანი შეკითხვა

მეოცე საუკუნის აზიაში **დაავადებების მოსპობა და სუფთა სტატისტიკურად სიცოცხლის ხანგრძლივობის მომატება იქსის გავრცელებამ** გამოიწვია. **კოვიდ-19-ის პანდემიის** დროს იქსი გამოსახული იყო ბევრ **სოციალურ პოსტერზე**. დაწერეთ იქსი **ერთი** სიტყვით.

#### პასუხი: საპონი

კომენტარი: აზიის ზოგიერთ ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობამ ჰიგიენური ნორმების დაცვის წყალობით მოიმატა. კოვიდ-19-ის პანდემიის დროს მნიშვნელოვან რეკომენდაციებს შორის იყო ხელების სწორად დაბანაც. სიტყვა “სუფთა” დამატებით მინიშნებას წარმოადგენდა საპონზე.

### 10. 5-ქულიანი შეკითხვა

**არგენტინის პრეზიდენტმა** ინტერვიუში აღნიშნა, რომ რამდენიც არ უნდა იყვირონ ფეხბურთის **ფანებმა**, ბოლოს **გოლი** მაინც **იქსს** გააქვს. იქსის ერთ-ერთი **მეტსახელი** მის **მომცრო აღნაგობასთან** არის დაკავშირებული. დაასახელეთ იქსით შეცვლილი ადამიანი.

#### პასუხი: მესი

კომენტარი: არგენტინის პრეზიდენტმა მაგალითის მოყვანისას, რა თქმა უნდა, ახსენა თავისი თანამემამულე ლიონელ მესი. მესი საკმაოდ დაბალია, რის გამოც გულშემატკივრებმა “რწყილი” შეარქვეს. კითხვის ნომერი დამატებითი მინიშნება იყო მესის 10-ნომრიან მაისურზე.

### 11. 6-ქულიანი შეკითხვა

პირველწყაროში **დიდი ტვირთის გადასატანად** გამოიყენეს **ათასობით ცხენი**, ხოლო ამ ნაწარმოების ერთ ეკრანიზაციაში - **რამდენიმე ათეული ტრაქტორი**. **გამოგონილი ქვეყანა**, რომელშიც ეს ფაქტი მოხდა, **თქვენთვის ცნობილ ნაწარმოებში** გვხვდება. დაწერეთ ეს გამოგონილი ქვეყანა.

#### პასუხი: ლილიპუტი

კომენტარი: “გულივერის მოგზაურობის” საბჭოთა ეკრანიზაციაში ცხენები ტრაქტორებით ჩაანაცვლეს. საუბარი იყო ლილიპუტში განვითარებულ მოვლენებზე.


### 12. 7-ქულიანი შეკითხვა

**საავტორო უფლებების** წესის თანახმად, **ვიდეოთამაშში** არ შეიძლება **სხვა კომპანიის კუთვნილი პერსონაჟის** გამოსახვა. სწორედ ამიტომ, ერთ კომპიუტერულ თამაშში, **ფეხბურთელ ჯეიდენ სანჩოს მოდელისთვის** მოუწიათ **არაერთი იქსის წაშლა**. დაასახელეთ იქსი **ერთი** სიტყვით, რომელშიც **ყველა თანხმომავანი ერთნაირია**.

#### პასუხი: ტატუ

კომენტარი: სანჩოს თავისი სხეული მულტიპლიკაციური პერსონაჟების გამოსახულებებით აქვს დაფარული, ამიტომ ვიდეოთამაშში EAFC 2024 შემქმნელები იძულებული გახდნენ, სხვა კომპანიების კუთვნილი პერსონაჟების ტატუები წაეშალათ.

13. 5-ქულიანი შეკითხვა  
[დასარიგებელი მასალა



თქვენ წინაშეა დისნეის 1942 წლის ცნობილ ანიმაციაზე მუშაობისას გადაღებული კადრი. მასალაზე ჩვენ დაფარეთ ცხოველი, რომელიც გვხვდება ქართული მინერალური სასმლის ლოგოზე. დაასახელეთ ეს ცხოველი.

**პასუხი: ირემი**

კომენტარი: ფოტოზე ასახულია მომენტი, როცა მხატვრები მულტფილმ “ბემბის” შექმნის დროს ცოცხალი ირმის გადახატვით არიან დაკავებული. ირემი გვხვდება “ბორჯომის” მინერალური წყლის ლოგოზე.

14. 6-ქულიანი შეკითხვა

იმისთვის, რომ უცხოელ დელეგატებსა და ვიზიტორებს არ შეემჩნიათ ჩრდილოეთ კორეის გზებისა და ინფრასტრუქტურის პრობლემა, ხელისუფლებამ იქსის გარშემო მასიური ტყე გააშენა. საქართველოში რამდენიმე იქსია, ხოლო ყველაზე დიდი იქსები ქუთაისის და თბილისისაა. დანერეთ იქსი ორფუძიანი სიტყვით.

**პასუხი: აეროპორტი**

კომენტარი: თვითმფრინავით ჩამოსულ დელეგატებს აეროპორტის ირგვლივ გადაშლილი უზარმაზარი ტყე უმაღლავდა გზებისა და ინფრასტრუქტურის პრობლემებს. საქართველოს უდიდესი აეროპორტები თბილისისა და ქუთაისის აეროპორტებია.

15. 7-ქულიანი შეკითხვა

მოჭადრაკე მიხაილ ტალი იმდენად გასაოცარი თამაშის სტილით გამოირჩეოდა, რომ მის მეტსახელში ფიგურირებს სიტყვა “იქსი”. წიგნების პოპულარული სერიის მთავარი პერსონაჟი დაბადების დღეზე შეიტყობს, რომ იქსია. დაასახელეთ იქსი რვაასოიანი სიტყვით.

**პასუხი: ჯადოქარი**

კომენტარი: ლატვიელი მოჭადრაკე მიხაილ ტალი იმდენად დაუჯერებელი სვლებით გამოირჩეოდა, რომ ცნობილი გახდა მეტსახელით “ჯადოქარი ქალაქ რიგადან”. ჰარი პოტერმა მე-11 დაბადების დღეზე შეიტყო, რომ ჯადოქარია.